№ 335. ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი. 1896-1897 ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, № 335.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და სალამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზია.
ხელ-მოუწერაკ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცელი“
1-ლ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე
ღირს 2 მანათი
„საქართველოს კალენდრით“

საუცხოვო

სათავად-აზნაურო თეატრი
ხუთშაბათს, 9 ოქტომბერს
გაიმართება წარმოდგენა საქვეყნოდ განთქმულის და ცნობილის
ლიუმიერის სინემატოგრაფისა
Синематографъ Люміэра
(ცხოველი და მოძრავი სურათები ფოტოგრაფიისა)
წარმოდგენები იქნება 4 ნაწილად და 70 სურათად
ხელმწიფის დაგვირგვინებისას და რუსთ-ფრანგების დღესასწაულს
ქალების ჩხუბი ხმალში გასვლა
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზე
ბილეთები იყიდება ყოველ-დღე კასაში
(2—2) ადმინისტრატორი გ. ტ. აქსენოვი.

საუცხოვო

ქართული თეატრი
სეზონი 1897/8 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოებისაგან ამ სეზონისათვის მოწვეულნი არიან შემდეგი არტისტნი: ქ.ქ. ეფ. ს. მესხი, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარეთელი. საყვარელიძისა, რჩეულოვისა და სხვა.

გარდა ამისა სეზონში დებიუტები ექნებათ ქქ. რაისელისას და რიონელისას.

ბ.ბ. ვ. აბაშიძე, ქ. მესხი, გ. გედევანოვი, ს. სვიმონიძე, ვ. გამყრელიძე, კ. შათირიშვილი, გ. კანდელაკი, ი. მჭედლიშვილი, ა. ადამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე, აბრამოვი და სხვ.
სცენარიუსი ა. თამაზიშვილი. სუფლიორი ნ. გალუსტოვი.
რეჟისორი კ. ს. მესხი

სეზონის განმავლობაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი არტისტი-ქალები მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

რეპერტუარი შესდგება ორიგინალურ თხზულებებიდან: ე. გაბაშვილისა, ა. წერეთლისა, გ. სუნდუკიანცისა, ა. ცაგარლისა, ბ. გ—ლისა, გულისაშვილისა, ვ. გუნიასი და სხვ.; აგრეთვე ახალი ნათარგმნი პიესებისაგან.

იყიდება აბონემენტი თეატრის კასაში 11—1 საათ. ყოველ-დღე.

ხე-ტყის ქარხანა და შეშის საწყობი
თავ. ნიკოლოზ ევსტატეს ძე თარხნიშვილისა
ტფილისი, ვერაზე, ოლგის ქ., მაკაროვის მამულში
იყიდება ყოველ-გვარი ხე-ტყის მასალა, შეშა მუხისა, რცხილისა, წიფელისა, ფიჭვისა და სხვა, ქვა-ნახშირი და ჩვეულებრივი ნახშირი, ქერი.
ფასი ყველაფერზე იაფი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი.
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ и ДРОВЯНОЙ СКЛАДЪ
Кн. Николая Евст. Тархангъ-Моуравова
Тифлисъ на Верѣ, Ольгинская улица, имѣніе Макарова (противъ Кирпичной улицы)
ПРОДАЮТСЯ:
Разные строительные матеріялы. Каменный и древесн. уголь
Дрова: грабовыя, дубовыя, чинаровыя и пр. породъ. Ячмень.
Цѣны на всѣ предметы общедоступны.
Ручательство и гарантія (30—6)

„პურ-ღვინო“
სადილი, ვახშამი, საუზმე.

„პ უ რ-ღ ვ ი ნ ო“

მშვენიერს ვახშამს იძლევა
ჩვენი „პურ-ღვინო“ ღამითა;
დღისით ამზადებს ისეთს ღომს,
რომ ვერ გაძღები ჭამითა!..

ცივს წყალთან ერთად მოგართმევენ,
«ამხანაგობის» ღვინოსა,—
რომ ჯიბეს ცოტა დააკლდეს
და გულმაც მოილხინოსა!..

ყოველი კაცი იქ დადის,
ვინც გინდა ყველა მისია,—
მხოლოდ ეს არის «საჯაყო»,
რომ... არ იციან ნისია!

ცნობილი რესტორანი საკუჭნაო
„პურ-ღვინო“
სისუფთავე, სიწმინდე, ახალი სანოვაგე, გემრიელად მომზადებული
!ყველაფერი იაფად და სწრაფად! (32—26)



ТОРГОВЫЙ ДОМЪ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

ТОРГОВЫЙ ДОМЪ
С. П. ПАВЛОВЪ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Тел офнъ 349.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
(100—83 წ.)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ, кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—208)

მოსამზადებელი და გამოსაცდელი
კურსები
ღებულობენ მოწაფე ქალებს და ვაჟებს. მასწავლებლად მოწვეულნი არიან ყველა საგნებისათვის საშუალო სასწავლებლის მასწავლებელნი.
ამზადებინებენ გაკვეთილებსაც
მსურველნი მიჰმართავენ მასწავლებელს ი. ა. ზვერიოვს და მასწავლებელ ქალს ა. ა. ზვერიოვისას, გრიბოედოვის ქ. № 4.
მშობელთა საყურადღებოდ. ყველა ამ კურსებზე მომზადებული ბავშვები მიღებულ იქმნენ საშუალო სასწავლებლებში და გამოცდა საუკეთესოდ დაიჭირეს გიმნაზიებში, კორპუსში, რეალურში და სხ.
სწავლა დილით და საღამოთიც არის
Подготовительные и репитиціонные
КУРСЫ
Грибоедовская ул. № 4.
(10—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დილაობით:
ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით
ა. მ. ბუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлсиъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11

საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმყოფობას
სწამლობს **ს. ვ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი
ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ.
ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ვ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

ახალი ამბავი

⁂ **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის დამტკიცება.** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად დამტკიცებულ იქმნა უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი.

⁂ **ბერად აღკვეცა.** როგორც დარწმუნებით შევიტყეთ ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ექვთიმე კაჭახიძე ბერად აღკვეცილა ამავე აკადემიაში, დავითის სახელით. სტუდენტი ექ. კვაჭახიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, სულ სამი წელიწადი არ არის რაც სწავლა დაამთავრა სემინარიაში და ეხლა აკადემიის მესამე კურსზეა.

⁂ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდათ „გლეხის“ გამოცემა „იტალიელები“ თარ. ზ. ედილისა. ზოგიერთი ადგილები ამ წიგნიდამ პირველად დაბეჭდილი იყო ჩვენს გაზეთში. წიგნში სისრულით არის აწერილი იტალია, და იქაური ბუნების სიკეკლუცე სიმდიდრე, სიმდიდრე, ზნე ჩვეულებანი და ხასიათი იტალიელთა.

⁂ **ტფილისის საეკკლესიო ნაშთთა საცავი.** ამ საცავის წევრებად დაუნიშნავთ კიდევ ტფილისის სალიერო სასწავლებლის მასწავლებელნი: ა. ნატროშვილი და ა. გძელიშვილი, სიონის ტაძრის მღვდელი მამა ტყემალაძე და ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელნი ნ. მთვარელიშვილი და ა. ქუთათელაძე.

გარდა ამისა, კომიტეტს გადაუწყვეტია, რომ მუზეუმი გაღებული იყოს ხოლმე საზოგადოებისათვის კვირაში ორჯელ: ოთხშაბათობით ნაშუადღევის 3—5 საათ. და კვირაობით 12—2 საათ. გადაწყვეტილია აგრეთვე დაიბეჭდოს ამ თავითვე კატალოღი იმ ნაშთთა, რაც ხლა მუზეუმში არის და შეთანასწორდეს ბ. ჟორდანიას მიერ შედგენილს კატალოღთან.

ხმოსნის დასჯა. ამას წინეთ გაზ. „ტფ. ლისტ.“ მოხსენებული იყო, რომ ტფილისის საბჭოს ხმოსანი თავ. ნ. ზ. თუმანოვი უწესოდ იქცევა წყლის გარიგებაშიო. ამის გამო რამოდენსამე ხმოსანს განუზრახავთ განცხადება მისცენ ქალაქის მოურავს იმის შესახებ, რომ ხმოსანმა თავ. თუმანოვმა ან უნდა თავი გაიმართლოს,—ან თავი დაანებოს ხმოსნობასაო.

ბაღოსნობის გამოფენა. ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს დაიწყება მუშტაიდში ბაღოსნობის გამოფენა. ჯერ-ჯერობით ორმოცდა ათამდე პირს გამოუცხადებია სურვილი გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა.

⁂ **ყალბ ფულის მჭრელთა საქმე.** როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, მილიციის პრაპორშჩიკს ზეინალოვს და მისს ამხანაგებს დაჰბრალდათ ყალბის ფულის მზადება და გავრცელება. ამ საქმის გამოძიება მინდობილი აქვს ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს ბ. მოსკალევს, რომელიც, თურმე, სულ მალე გაათავებს გამოძიებას. „ზეინალოვის ფული“ მეტად გავრცელებული ყოფილა ყველგან და, ასე გასინჯეთ, ამ ფულის გამავრცელებელი ორი კაცი ბუხარაში შეუპყრიათ.

⁂ **სახელმწიფო ქონებათა მმართველის დაბრუნება.** ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგე ბ-ნი ბეკი უკვე დაბრუნდა სიღნაღის მაზრიდამ და ჩაიბარა თავისი თანამდებობა.

⁂ **ახალი ოინები ტფილისელ ჯიბგირებისა.** 5 ღვინობისთვეს, ერთმა ქიზიყელმა გლეხმა ჩამორეკა რიყეზედ გასასყიდად საქონელი. გაყიდვის უმალ გამოიკრა ფული ძველ ნაჭერში და გასწია ავლაბრისკენ. გზაზედ დაგდებული პორტმანი დაინახა და დასწვდა ასაღებად. პორტმანის ასაღებად კიდევ ვიღასიც ხელი წამოსწვდა, მაგრამ მაინც გლეხმა დაასწრო აღება. შიგ რაც აღმოჩნდება, უნდა შუაზედ გავიყოთ, უთხრა უცნობმა გლეხს. აჰა, შვილო წაიღე, სულ შენი იყოს, ღმერთმა მოგახმაროს, მე-კი არაფერი მინდა შენიო, მიუგო ქიზიყელმა და გადასცა პორტმანი უცნობს. მაგრამ იგი არ მოეშვა უეჭველად ძმურად უნდა გავიყოთ, რაც არისო და ძალა უნებურად წაიყვანა ხოჯივანქის სასაფლაოსკენ. გაშალეს პორტმანი და მართლა შიგ ფული აღმოჩნდა. ამ დროს მოვიდა ორი კაცი კიდევ სასაფლაოზედ; რასაკვირველია, პატიოსნურად ჩაცმული კინტოები. ერთი იმათგანი იმათთან მივიდა და უთხრა: მე ფული დავკარგეო და თქვენ ხომ არ გინახავთო; მეორე-კი იმათზედ შორს დაჯდა. გლეხმა თვის ჩვარში გამოკრუული ფული უჩვენა: აი, შვილო, ეს ჩემია და მე სხვა არაფერი მაქვსო და მეორემ პორტმანი უჩვენა. ეს რომ ფულსა შინჯავდა და ათვალიერებდა. ამ დროს მის შორი ახლო მჯდომარე ამხანაგს წამოეპარა ვიღაცა კაცი და ერთი ლაზათიანი სილა სტკიცა. ფულის მშინჯველმა დაიძახა: ვაიმე ამხანაგი მომიკლესო, გამოკრული ჩვარი გლეხს გადასცა და თითონ მოუსვა მოჩხუბრებისკენ. ამას უკან დაედევნა გლეხთან ერთად მოსულიც ყვირილით: კაცო, ე პორტმანი სად მიგაქვსო და გაქრნენ უეცრად სასაფლაოდამ ორივენი. გლეხიც ადგა და წამოვიდა თავისთვის. ბინაზედ ნახა, რომ მის ჩვარში ფულის მაგივრად კენჭები და მიწა ეყარა. შემოიკრა თავში და მიმართა პოლიციას, მიშველეთო. არ ვიცით, პოლიციამ უპოვნა, თუ არა ფული საწყალ გლეხ-კაცს.

⁂ **ცილის წამება.** 10 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს ნიკოლოზ აივაზოვის საქმეს, რომლითაც მას ჰბრალდება ივანე გვახარიას ცილის წამება ბეჭდვითი სიტყვით. ამ საქმეზედ რვა მოწმეა დაბარებული.

⁂ **ტუსაღის გაქცევა.** ორშაბათს საღამოს ხუთი საათი იქმნებოდა სამხედრო სამჯავროდამ მიყავდათ სატუსაღოში ორი ტუსაღი, რომლეისთვინაც იმ დღეს სამჯავროსმიუსჯია კატორღაში გაგზავნა რაღაც დანაშაულისათვის. ერთი მათგანი ბეგი იყო და ამიტომ ბორკილები არ ეყარა, მეორეს კი ხელები ჰქონდა შეკრული. მნაცაკანის ხიდზერო გადიოდნენ, ბეგს წაუვლია ხელი ხიდის მოაჯირისათვის, გადამხტარა მტკვარში, ერთს ჯარისკაცს მოუსწრია ხიშტის ჩხვლეტა, მაგრამ ტუსაღი მაინც გადამხტარა წყალში და ცურვით გსვლას აპირებდა; ჯარისკაცთ, რომელნიც ამ ტუსაღებს დარაჯობდნენ დაუწყიათ ყვირილი ყვირილზე მიეშველნენ მათ მეთევზეები, ნავით გამოედევნენ გაქცეულს ტუსაღს და შეიპყრეს.

⁂ **ბეითალთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში.** კავკასიის საექიმო მმართველობაში კითხვა აღუძრავთ იმის შესახებ, რომ ამიერ კავკასიაში დანიშნულ იქმნან მუდმივი ბეითლები.

⁂ **ჟურნალი ,,მოამბე‘‘ № X.** ჩვენ მივიღეთ ჟურნალი „მოამბის“ № X, შემდეგის შინაარსისა: I—დაუდეგარი.—წერილი მეგობართან. ია ეკალაძისა; II—სიმღერა.—ლექსი ვაჟა-ფშაველასი; III—შემდეგი რა იქნება?—ამბავი კოტ მურლიკისა. თარგმანი ე. მ—შვილისა; IV—ივდითი—ტრაგედია ხუთ მოქმედ. ჯიაკომეტისა; V—⁂—ლექსი მღვიმელისა; VI გლეხი-კაცის ისტორია.—ნაწილი მეორე.—ერკმან შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა; VII—მეგრული ანდაზები.—ჩაწერილი თ. სახოკიას-მიერ; VIII—„ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—XLII და XLIII.—ალ. ს—შვილისა; IX—თ. ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად.—ვ. პოტტოსი; X—პესსიმიზმი ქართულ ლიტერატურაში. დ. გურამიშვილი.—მ. ბოლქვაძისა; XI—ცხოვრება და ხელოვნება. ჩვენი ახალგაზდობა—კიტა აბაშიძისა; XII მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში.—ნ. წერეთლისა; XIII—ბიბლიოგრაფია. I. ბრჭყალები. პოლ ერვიესი. კ. ა. II. ქართლის ცხოვრება. დასაბამიდან მეათცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი: საქართველოს დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა ტფილისი. 1897 წ. ფასი 40 კაპ. ი. მ—ანი III „ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი და სკოლებში სახმარებელი. შედგენილი ალ. ნათაძის-მიერ. ფასი 30 კაპ. Z. დამატება: XV—საქართველოს სიძველენი.

⁂ **შეცდომის გასწორება.** ბ-ნ რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვ ამ შენიშვნას ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულს „ცნობის ფურცელში“—სიმართლის აღსადგენათ. ხსენებული გაზეთის მე-330 №-ში გადმობეჭდილია გაზეთ „კავკაზიდან“ რომ ქალაქის მე-9 ნაწილის ზედამხედველმა ვითომც გუდიევის საძეხვეში აღმოაჩინა უვარგისი და დამპალი ძეხვი და სხვ. ეს ცნობა სიმა

ხელოსანთა ამხანაგობანი უცხოეთში.

II

ფორტეფიანოს მკეთებელ ხელოსნების ამხანაგობაზედ არა ნაკლებ წარმატებაში შევიდა „ლამფის მკეთებელ ხელოსანთა ამხანაგობა“. 12 მარტს, 1848 წელს ყველა პარიჟელი მელამფეები, რიცხვით 500 კაცამდე, შეიკრიბნენ ერთად, რათა მოელაპარაკნად იმაზედ, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს იმათი ყოფა-ცხოვრება „ამხანაგობის“ დაარსებით. ამ პირველ კრებაზედ ოსტატებმა—მელამფეებმა მოიწვიეს თავიანთი შეგირდებიც. კრებას ნაყოფი არა მოჰყვა-რა და დაიშალა. ბევრი გარემოება უშლიდა მათ ხელს. გარდა ამისა ხელოსნებმა გარდასწყვიტეს: ჯერ თვით აზრი „ამხანაგობის“ დაარსებისა და მისი მოწყობისა კარგად შევიმუშავოთ და მერე დავაარსოთო. ამიტომ პირველი მარტიდამ მოყოლებული თიბათვემდის იკრიბებოდნენ და სჯიდნენ-ბაასობდნენ „ამხანაგობის“ საქმეზედ. 12 დიდი კრება ჰქონდათ და მრავალი მცირე. გეგმა „ამხანაგობისა“ კიდეც შეიმუშავეს, მაგრამ ამ დროს დაიწყო, ეგრედ წოდებული, „თიბათვის ამბოხება“ პარიჟში, და ამან შეუშალა ხელი „ამხანაგობის“ დაარსებას. მხოლოდ ღვინობისთვეში ხელ-ახლად შეიყარნენ და შეიმუშავეს წესდება ,,ამხანაგობისა‘‘. მაგრამ როგორ დაეწყოთ საქმე უფულოდ? ასეთს ხერხსა და საშუალებას მიჰმართეს. ყოველი კრების დასასრულს ერთი ხელოსანი დადგებოდა კარებში, გაიშვერდა ქუდს და სთხოვდა ხელოსნებს, ჩაეგდოთ,—ვის რაც შეეძლო, ანუ ემეტებოდა. აი ამ გროშებით და შაურებით მალე შეუდგათ თანხა 300 ფრანკი, ანუ ჩვენებურად რომ ვსთქვათ, 75 მანათი. დეკემბერში ხელი მოაწერეს პირობებზედ, ანუ წესდებაზე და დაიქირავეს ერთი დიდი სახლი. სახლის ქირა იყო 500 ფრანკი წელიწადში. სამის თვის ქირა მისცეს წინადვე, იყიდეს ცოტაოდენი საჭირო მასალა და შეუდგნენ საქმეს. დახლში ჰქონდათ-ღა მხოლოდ 10 ფრანკი. ეს მოხდა 11 იანვარს, 1849 წელს. წევრთა რიცხვი იყო 40, საქონელი და იარაღი ზოგი ნაყიდი და ზოგიც ნისიად აღებული ჰქონდათ 400 ფრანკისა. ასე და ამ რიგად ეს საწყლები შეუდგნენ საქმეს. გავიდა კვირა, მეორე, მესამე და მუშტარი და შემკვეთელი საქმისა არსადა სჩანდა. სიცივემ და შიმშილმა ძალიან შეაწუხა საწყლები და სასო-წარკვეთილებაში ჩაყარა. უსაქმობის გამო თვითეული წევრი—ხელოსანი იღებდა კვირაში ჯამაგირს 1 ფრანკს, ანუ ხუთ შაურს. ერთის თვის გასულს ძლივს შეუკვეთა ვიღამაც ფარანი, 12 ფრანკად ღირებული. ასე უბედურად წავიდა მათი საქმე წლის დასრულებამდე. საახალწლოდ ,,ამხანაგობაში“ დარჩა მხოლოდ სამი წევრი: დანარჩენები შიმშილმა გაფანტა.

ახალ წლიდამ გაჩნდა საქმე და მალე წევრთა რიცხვი 14-ზედ ავიდა და თანხაც შეადგინეს 710 ფრანკი. დიდი მოჭირვებით და ყაირათობით შეაქუჩეს ეს თანხა. ახლა-კი იმედი ყველას დაუბრუნდა, დაქსაქსული წევრები ისევ ნელ-ნელა იკრიბებოდნენ. უხაროდათ, გასწორდა ჩვენი საქმეო, რომ თიბათვეში ახალი უბედურება დაატყდათ თავს მეხივით. ერთს დღეს, წევრნი ,,ამხანაგობისანი‘‘ მივიდნენ სამუშაოდ ქარხანაში და ნახეს, რომ ქურდებს გაუტეხიათ ქარხანა, გაუცარცვავთ და წაუღიათ ფულები სულ მთლად დახლიდგან. ეცათ ელდა, შემოიკრეს თავს, მაგრამ რაღას უშველიდნენ წამხდარს საქმეს. რის ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით ნაშოვნი თანხა ვიღაც ბოროტმა პირმა გამოაცალა ხელიდამ. ამ სამწუხარო ამბავს ისიც ზედ დაერთო, რომ ,,ამხანაგობის‘‘ მტრებმა დაიწყეს ზოგიერთს ჟურნალ-გაზეთებში წერილების ბეჭდვა: ,,ამხანაგობა‘‘ გაქურდა მისმა წევრმავეო, თითონ შეჭამეს ფულებიო; თუმცა მერე ქურდი აღმოაჩინა პოლიციამ და დამტკიცდა, რომ იგი არ ეკუთვნოდა ,,ამხანაგობის‘‘ წევრთ. ქურდი იპოვეს. მაგრამ ფულები-კი ველარ უპოვეს. რაღა ექმნა „ამხანაგობას“? ამ უბედურმა შემთხვევამ „მელამფეთა ამხანაგობისამ“ მიიპყრო ყურადღება სხვა „ხელოსანთა ამხანაგობებისა“ და გამოიწვია მათ მიერ დახმარება. „მეშლიაპეთა“ ამხანაგობამ გამოუგზავნა ამათ 125 ფრანკი, „დერციკებთა“ ამხანაგობამ—50 ფრ., „მეჭურჭლეებმა“—50 ფრ., „ხარატებმა“—18 ფრ. და სხვ. ამ ნაირად „მელამფეებს“ შეუგროვდათ 400 ფრანკი. ეს ფულები „მელამფეთა“ ამხანაგობამ იუკადრისა საჩუქრად მიეღო, არამედ მიიღო, როგორც სესხი, დ შემდეგში ისევ დაუბრუნა პატრონებს. ერთი კაპიკიც-კი არავისი დაინარჩუნეს და ყველას დიდის მადლობით შემდეგში უკანვე დაუბრუნეს წვრილ-წვრილად. „მელამფეთ ამხანაგობა“ ისეთს წარმატებაში წავიდა, რომ 6 წლის განმავლობაშ გაუსწორდა ყველა მოვალეებს დ ჰქონდა საკუთარი თანხა 74,89 ფრანკი. 1865 წელს ამ საზოგადო ებას ჰქონდა თანხად 90,000 ფრან კი და აუღია შეკვეთილი საქმე წლ განმავლობაში 110,000 ფრანკისა.

ბევრი წვალება და დარდი გამ იარა, ვიდრე საქმეს დონეზე და ყენებდა, აგრეთვე „მებელის მკეთ ბელ ხელოსანთა ამხანაგობამ“, ან „დურგლების ამხანაგობამ“.

14 ღვინობისთვეს 1848 წ. ამა შეადგინეს „ამხანაგობა“. ამ „ამხ ნაგობამ“ მოაგროვა თავის წევრთ შორის 313 ფრანკი ფულად და 15 ფრანკად ღირებული იარაღი. 1 ღვინობისთვეს „ამხანაგობა“ საქმ შეუდგა. ამათ ბედზე სახლის პატ რონი ისეთი კეთილი კაცი შეჰ დათ, რომ ფულს წინადვე არა თხ ულობდა. ამიტომ მათ თავისუფალ ფული სულ მასალის ყიდვას მოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთლეს ყოვლად მოკლებულია და ამას ამტკიცებს ხსენებულ საქმის თაობაზე მოხელეთაგან შემდგარი ოქმი, საიდამაც ცნობა „ტფილისის ფურც.“-ის მე-230 ნომერში არის დაბეჭდილი. აი რას ამბობს იგი: „ყველა ეს (ძეხვი და მისი მასალა) ეკუთვნოდა ავლაბარში მოვაჭრეს პ. ი. თაგანიძეს, მეორე ნაწილის უბანში, სოლოლაკში, მოვაჭრეს ი. ია. სიმონოვს და პირველ ნაწილის უბანში, ხლებნი გორკაზე, ტივლიშევის სახლში მოვაჭრეს მ. ვ. გრაჩევს“. აქედამ ცხადათ დაინახავთ, თუ მე-9 ნაწილის ზედამხედველისაგან აღმოჩენილ უვარგის ძეხვების საქმეში რა შუაში ვართ ჩვენ. თუ ხსენებული საძეხვე იმავე სახლშია მოთავსებული, რომელშიაც ჩვენცა ვცხოვრებთ, განა საკმაო საბუთია იმისათვის, რომ მის გამგე-მწარმოებელთა დანაშაული ჩვენ მოგვახვიონ თავზე?!

მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობა აქვს ვაჭრისათვის პატიოსანს სახელს და ეხტიბარს და რა რიგი ზარალის მოტანა შეუძლიან მისთვის ზემოხსენებულისთანა ცილის-წამებას. ამისათვის გთხოვთ დაბეჭდოთ ეს ჩემი წერილი. გაზეთ „კავკაზ“-ში უკვე შეასწორეს შეცდომა ჩვენდა სასარგებლოდ, ხოლო რაც შეეხება გაზ. „კავკაზ“-ის შეცდომას, იგი შეთხზული და ჩაგონებულია იმ პირთაგან, რომელთაც განუზრახავთ მეზობელს მუშტარი დაუფრთხონ და იმით თავიანთი ვაჭრობა გაჩაღხონ. ჩვენის მეზობლებისთვის სიკეთე არა გვშურს, მაგრამ ცილის-წამებით მოყენებულს ზარალს ჩვენ ვინ-ღა აგვიყენებს?

მეორე გილდის ვაჭარი სვიმონ გუდიაშვილი

⁂ **ქ. სოხუმი. 5,000 მანეთი ეკლესიას სასარგებლოდ.** ამ ერთი კვირის წინად სოხუმში დაასაფლავეს აქაურის მცხოვრების აზნ. პეტრე ბარკალაიას მეუღლე სალომე როსტომ ქავთარაძის ქალი. განსვენებული ცნობილი იყო თვისი ჭკუითა და მეოჯახეობით. სიკვდილის წინ ანდერძი გააკეთებინა და სხვა ეკლესიებს გარდა, როგორც ძველსენაკში დაბადებულმა, ძველი-სენაკის (სამეგრელოშია) მაცხოვრის ტაძარს 5,000 მანათი დაუტოვა გასამშვენებლად და შესამკობლად სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთებითა. მის მემკვიდრეთ 20,000 მანათის ქონება დარჩათ.

⁂ **ს. ბარი. † დეკანოზის ალექსი ჭიჭინაძის გარდაცვალება.** 4 ენკენისთვეს გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული დეკანოზი ალექსი ჭიჭინაძე. განსვენებული თავისი წმიდა სარწმუნოებით, მაღალი ზნეობით და მოძღვრული სიყვარულით ცნობილი იყო რაჭაში. განსვენებული გულ-მოდგინეთ მსახურებდა წმიდა ეკლესიას და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.. თითქმის ნახევარი საუკუნე დაუღალავად შრომობდა საეკლესიო ასპარეზზე, ხალხში სარწმუნოების გასამტკიცებლად და ზნეობის ასამაღლებლად. აგრეთვე თვალყურს ადევნებდა სამრევლო სკოლებში სწავლის საქმეს და შეძლებისა გვარად ხელს უწყობდა. დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე განსვენებულის მჭერმეტყველურს და სარწმუნოებით გამსჭვალულს ქადაგებას; დღესაც ყველას ნათლად ახსოვს მისი გრძნობიერი მოძღვრული დარიგება. განსვენებულის დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი შეიკრიბა და სართო მწუხარება გამოაცხადა დეკანოზის დაკარგვის გამო.

აქაური.

⁂ **ქ. ქუთაისი. გამოურკვეველი ბოროტ-მოქმედება.** ერთს ქუთაისელს ებრაელს მეეტლედ ჰყოლია ქვიტირელი (ქუთაისის მაზრაშია) გლეხი ო. ცქიტიშვილი, რომელიც ამას წინად დაკარგულა უგზო-უკვლოდ. ათი დღის შემდეგ ორ გლეხს უნახავთ უცნობი კაცის ცხედარი სად. რიონის მახლობლად, მდ. რიონის ნაპირას. დამხრჩვალი ებრაელი ჰგონებიათ და დაუკრძალავთ კიდეც ებრაელთა წესით. ამასობაში საბრალო ცქიტიშვილის ძმებსაც შეუტყვიათ მისი დაკარგვა და მიჭრილან ებრაელთან—სად არის, რა უყავი ჩვენი ძმაო?.. ებრაელს ჯერ უთქვამს—ბათომში გავგზავნე და მალე დაბრუნდებაო, მერმე-კი უარი უთქვამს—მე თქვენი ძმისა არა ვიცი-რაო.

ცხადია, აქ ბოროტ-მოქმედება იმალავს თავს და ვნახოთ, რას აღმოაჩენს გამოძიება. („კავკაზ“).

⁂ **საჩხერე** (იმერეთი). **მკვლელობა ჯრუჭის მთაში.** დაბა საჩხერიდამ 15 ვერსტის მანძილზედ, ჩრდილოეთის მხარეზედ მდებარეობს საწერეთლო ჯრუჭის მთა. მთა შემკულია, როგორც ხე-ტყით, ისე სახნავ-სათესით და საბალახით უმახლობლესი სოფელი ამა მთისა არს რაჭის მაზრის სოფელი შაქმერი.

წელს იყო გამიჯვნა ამ მთისა და, რასაკვირველია, გამიჯვნის დროს ვისაც რამე უფლება და მონაწილეობა ქონდათ, გამოაცხადეს. მოდავეთა შორის იყვნენ სოფილის შაქვერის მცხოვრებნი და მათი მებატონენიც. მაგრამ ერთმა ქალბატონმა და რამოდენიმე ყმაწვილებმა თ. წერეთლებმა, შაქმერელებს კი არა თავიანთს მემკვიდრეებს და მონათესავებსაც უთხრეს მინაწილეობაზე უარი, ასე რომ ეს უზარ-მაზარი მთა მოინდომეს საკუთრად. მის დასაცველად მოიწვიეს ექვსი მამაცი ქობულეთლები ლომ-კაცისა მზგავსნი; ჩაუყენს მთაში და უბრძანეს, აბა თქვენ იცითო!.

დიდ ხანს აღარ გაუვლია მას შემდეგ, 25-ს ამ ენკენისთვეს ქობულეთლებმა მოჰკლეს საწყალი შაქმერელი გლეხი დოლიშვილი, მოხუცი სამოცის წლისა და ორი იმისივე ოჯახის ბიჭები სასიკვდილოთ არიან დაჭრილი ბერდანის თოფებით. ესეთი საცოდაობა მოხდა იმ დროს, როდესაც გლეხი დოლიშვილი თავისივე დათესილ ფეტვის მოსამკელად და წასაღებად ჩავიდა ხარ ურმით ყანაში, რომელიც მდებარეობს სადაო მთაზე. ქობულეთლები დამწყვდეულნი არიან ონის სატუსაღოში, მაგრამ რა გიმოვიდა! ზემოხსენებული მანდილოსანი და ზოგიერთი წერეთლები თავ გადადებით ცდილობენ, სადაც მკვლელობა იქმნა, ის ადგილი შორაპნის მაზრის ნაწილათ იქმეს ცნობილი და ამის მიზეზით ტუსაღები გადმოიყვანონ საჩხერეს სატუსაღოში, სადაც თვითონ წერეთლები არიან. აქ საქმის გარიგება და საჭიროების დროს მოწმების დაყენება უფრო ადვილი იქმნება. შაქმერელებს საწინააღმდეგოდ.

იმედი გვაქვს, საქმე ისე ადვილათ არ ჩაივლის როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. წერეთლები გუშინ ქუთაისში იყვნენ, მაგრამ ჯერ არც თვითონ მოსულან და არც ამბავი რამე იციან მათმა მომხრეებმა.

ხ—ი.

⁂ **ფოთი უგზოობა და კეთილი განზრახვა.** ფოთის ბაზარზე ყოველ-გვარი სანოვაგე: ღვინო, ფქვილი, სიმინდი, და ყველი, ბოსტნეულობა და ხილეულობა გურიიდგან ჩამოაქვსთ, ზოგი ურმით და ზოგიც ცხენით. გზა, რომლითაც მოაქვსთ ზემო ხსენებული სანოვაგე, მოდის სუფსიდან, გაივლის მალთაყვაზე და შემოდის ფოთში. ზოგჯერ ამ გზით დილიჟნებიც მიდი-მოდის ფოთსა და სუფსას შუა. სამწუხაროდ ამ გზით სიარული ყოველთვის არ შეიძლება. წვიმების შემდეგ, როცა წყლები ადიდდება, ორ-სამ კვირაობით მოძრაობა შესწყდება ხოლმე ამ გზაზე. გზა მოუკირწყლავია და წვიმის შემდეგ მთელი გუბე დგება წყლისა და ტალახისა. ამ გზის სიგძე სულ ოცი ვერსტია. შეკეთება ეჭირვება სულ 13 ვერსტს და არც მაგდენი ხარჯი მოუნდება გზა რო გაკეთდეს, მაშინ დილიჟანიც თავისუფლად ივლის და ახლანდელის 1 მანეთის მაგივრად 40კაპ. კაცის თავზე ეღირება. როგორც გავიგეთ ფოთის ქალაქის თავის ბ-ნს ნ. ნიკოლაძეს მიუქცევია ყურადღება ამ გზისათვის და განუზრახავს მისი გაკეთება იმ ადგილამდე, სადამდე ფოთის მამულებია, ესე იგი, 9 ვერსტის მანძილზე, მალთაყვამდე. მდ. მალთაყვიდამ საზღურ სუფსამდე რჩება 11 ვერსტი, ამ მანძილის გაკეთება უკისრიათ ორ მახლობელ სოფლის საზოგადოებას: ჩოჩხათისა და გურიანთისას. ამასთან, სოფლელებს დიდს მხარს აძლევენ თ. თ. გურიელები ამ საქმის განხორციელებაში.

ზღვაოსანი,

⁂ **სოფ. ბანძა** (სამეგრელო). **თავად-აზნაურობის მაძიებელნი.** ამ რამოდენისამე წლის წინად მთლად სამეგრელოს თავად-აზნაურობა ფეხზე დადგა და ყველა შეეცადა დაემტკიცებინა თავისი აზნაურობა თუ თავადობა. ამისათვის არაფერთსა ჰზოგავდნენ: არც ფულს, არც ჯანს არც დროს ზოგი უკანასკნელს ცხენს ჰყიდდა, მამულს აგირავებდა, რომ აღებულის ფულით ქუთაისსა და ტფილისს ჩასულიყვნენ და საჭირო საბუთები ეშოვნათ. ჯერ არც ამ კითხვას მოღებია ბოლო და ისენიც ისე გასაწყლედნენ, ისე დაქვეითდნენ ქონებრივად, რომ, ვეჭვ, ისე ადვილად წელში გასწორდნენ.

ეს კიდევ არაფერი. უბედურება ის გახლავთ, რომ ამ „ძიებამ“ ისეთებიც ჩაითრია, რომელთაც აზნაურობა სსზმარშიაც არ უნახავსთ და მთელი თავისი დღენი სხვისი ყმები ყოფილან-

ან. გაბუნია.

შემოწირულობა

სტუდენტების სასარგებლოდ

ჩვენ მივიღეთ **ოდესის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ:**

თ. ნ—ს—ძისაგან — —	1 მან.
ქ-ნ Marie-საგან— — —	1 მან.
	სულ 2 მან.

რედაქცია ღებულობს ყოველგვარ წვლილს სხვა-და-სხვა უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ. მსურველთ შეუძლიანთ შემოწირულობა ფოსტის მარკები-

---

დომეს. ერთს ხელოსანს დაავალეს მასალის ყიდვა. იყიდა მასალა, მაგრამ ძალიან დიდი ფასი ითხოვა მედროგემ ქარხანაში წასაღებად. მაშინ საწყალი, ოღონდ „ამხანაგობას“ ტყუილად ხარჯი ნუ მოუვაო, თითონ შეება დროგში და თითონ წაიღო მარტოკამ მასალა საამხანაგო ქარხანაში. სულ ხტომითა და ცეკვით მიარბენინებდა დროგს. აგერ მიიტანა კიდეც სამშვიდობოში, აქ-კი წაიქცა და ფეხი მოიტეხა!

„ამხანაგობას“ ჯერ მოგება არსად ჰქონდა, ჯერ არ იცოდა—რა გზით და რა წესით წავიდოდა მისი საქმე, მაგრამ მაინც იმ წამსვე გადასწყვიტა, თავ-განწირულის ამხანაგისთვის ეძლივა ფული საკვებადაც და მოსარჩენადაც.

პირველ ხანებში ამხანაგობის საქმე ვერ მიდიოდა კარგად. ეს ბედი პირველში ყველა ამხანაგობას ეწვევა ხოლმე.

14 ღვინობისთვიდამ 1848 წლ. ვიდრე თებერვლის 15-მდე 1849 წ. დურგლები შიგჭრელად მუშაობდნენ საზოგადო ქარხანაში, რადგან მასალა იმდენი არა ჰქონდათ, რომ ყოველ დღე ემუშავნათ. კვირაში 5 ფრანკზედ მეტს ვერ იღებდნენ ხელოსნები,. მაგრამ „ამხანაგობას“ მაინც არა შლიდნენ.

მალე ამათაც აუჩნდათ საქმეები თაბათვეში 1850 წელში „ამხანაგობამ“ მიატოვა თავისი უხერხული და უხეირო სახლი და თავისი ქარხანა გადიტანა კარგს სახლებში უმთავრესს ქუჩაზედ. ღვინობისთვეში გასინჯეს წესდება და ზოგი ერთი მუხლი შესცვალეს. თუმცა კარგი ოსტატი მეტს იღებდა, ვიდრე მდარე, მაგრამ წესდებაში მაინც იყო ნაჩვენები, თუ რამდენზედ მეტი აღარ უნდა მიეცეს პირველს შედარებით მეორესთან. გარდა ამისა შემოიღეს ნაჭრობით მუშაობა. ყველას უნდა მიეღო ჯამაგირი იმის მიხედვით, თუ რამდენს ნაჭერს გააკეთებდა. ახალის ნოქრებს „ამხანაგობაში“ იღებდნენ 3 თვის გამოცდის შემდეგ; ამ ხნის განმავლობაში ახალ წევრს, მოგებაში წილი არ ედო. შესანიშნავია, რომ ამ ამხანაგობას არა ჰქონდა დავიწყებული არც ზნეობრივი მხარე თავის წევრებისა და წესდებაში ჯარიმა ჰქონდა დანიშნული ლოთობისთვის ლანძღვა გინებისთვის და ბევრ სხვა უზნეობისთვის. ჯარიმად აღებული ფული ემატებოდა საამხანაგო თანხას საქმის გასაძლიერებლად. „ამხანაგობის“ თანხა 1865 წელს ავიდა 50,000 ფრანკზედ; იმავე წელს ქარხანაში გაკეთებულა საქმე 150,000 ფრანკისა.

უფრო მომატებულ წარმატებაში შევიდა „კალატოზების ამხანაგობა“. იგი დაარსდა 1848 წელს. პირველად „ამხანაგობაში“ ირიცხებოდა მხოლო 17 წევრი „ჩვენაო გვიამბობს ერთი წევრი ამ „ამხანაგობისა“, რამდენჯერმე შევცვალეთ ჩვენი წესდება, ვიდრე მკვიდრ გზას დავადგებოდით; ერთს დროს, სახელდობრ 1851 წელს, ჩვენ სულერთიან გავკოტრდით, დავუძლურდით დავეცით სულით; ბევრი ვაი-ვაგლახი გამოვიარეთ, საქმე არ გვიჩანდა. ბოლოს 1860 წელს საქმეები აგვიჩნდა. ამ დროს ჩვენმა ხელობამაც აიწია და ჩვენი საქმეც საუცხოვოდ წავიდა. ერთი კაცი ვერც იმდენს აიტანდა და ვერც იმ კეთილ დღეობას მოეწევოდა, რაც შეგვაძლებინა და რასაც მიგვახწევინა „ამხანაგობამ“ აი მოკლე ნუსხაც ჩვენის საქმისა:

წელიწადი	ღირებულობა აღებულ საქმისა	წმინდა მოგება.
1852	45,530	1,000
1853	297,208	7,000
1854	344,210	20,000
1855	614,694	46,000
1856	998,240	80,000
1857	1,230,000	100,000
1858	1,231,000	130,000

უკანასკნელის წლის მოგებიდამ 30,000 გადავდევით სათადარიგო თანხისათვისო, ხოლო 100,000 ძმურად გივიყავით. ვის 500 ფრანკი ერგო, ვის 1,500, ნამუშავარის კვალობაზედ. ეს გვერგო გარეშე ჯამაგირისა; ჯამაგირი ხომ თავის დროზედ გვეძლეოდაო. 1866 წელს „ამხანაგობის“ თანხა ავიდა 300,000 ფრ. თვითეულის საწევრო ფული ირიცხებოდა 2,000 ფრ. ზოგისაც 10,000 ფრ. საქმეს ვიღებდით წელიწადში 4 მილლიონისას. წევრობა შეეძლო ყველას: უბრალო მუშასაც და დიდის ფულის პატრონსაც. შრომა წევრისა იღებდა 60% მოგებისას, ხოლო დანარჩენი 40% უნაწილდებოდა თანხის პატრონებს. 1865 წელს „ამხანაგობაში“ იყო 83 წევრი. ამათ გარდა „ამხანაგობა“ დღიურ მუშებს—მოჯამაგირებსაც იყვანდა. ამ გარემოებამ დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია. საზოგადოებაში და ზოგიერთ წევრთა შორისაც გაისმოდა საყვედური: „ამხანაგობა“ მოჯამაგირეებს რად იყვანსო. ეს წინაალმდეგია „ამხანაგობის“ მთავრის აზრისაო; სადაც მოჯამაგირეა და დღიური მუშა, იქ ძმობასა და ამხანაგობას აბრუ უტყდებაო. დღიურ მუშებსაც უნდა მონაწილეობა ჰქონდეთ საზოგადო მოგებაშიო.

ამ კითხვების პასუხად ერთმა წევრმა „ამხანაგობისამ“ გამოაქვეყნა ასეთი პასუხი.

— ჩვენს „ამხანაგობაში“ ყველას შეუძლიან წევრად ჩაწერა და მაშასადამე სარგებლობაში მონაწილეობის მიღებაო. მხოლოდ ისიც სათქმელია: განა წევრები უთუოდ ყოველ წელს სარგებელს ელოდებიანო? ზარალი რომ იყოს, მაშინ იკისრებენ ამ ზარალს დღიური მუშები—არა წევრებიო? და ვინც ზარალს არ იკისრებს, მას მოგებაში რაღად უნდა ედოს წილიო? აი, მობრძანდნენ ჩვენი დღიური მუშები, ჩაეწერნენ წევრებად ჩვენს „ამხანაგობაში“ და ჩვენთან ერთად ავიცა და კარგიც გაიყონო. იმას-კი ვერ ვიკისრებთ, რომ, ვისაც ჩვენი წევრობა არ უნდა, მას ჩვენი მოგება გავუყოთო.

მ. ნ—ძე.

თაც გამოგზავნიან. შემომწირველთა სია ყოველ-დღე დაიბეჭდება. შემოწირულება მიიღება ერთი კაპიკიდან მოყოლებული.

ვალერ. გუნია.

რედაქციისაგან

პეტროვსკი. გ. თოიძეს. აღსაშფოთებელი ფაქტია. მაგრამ, თუ მოწმე არა გყავსთ ისე მისი დაბეჭდვა შეუძლებლად მიგვაჩნია. თქვენი წერილები ზოგი დაიბეჭდა, ზოგიც არა ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა-გამო.

ს. ხვარბეთი. გოგორეთელს. ჩვენ არა გვჯერა, რომ ისეთი მეაფთიაქე იყოს სადმე, რომ ექიმს უთხრას: ავათმყოფს, თუნდაც ღარიბს, რაცა სჭირია, იმაზე მეტის წამალი გამოუწერე და ისიც მისს ჭკუას აჰყვეს! ისიც ძნელი დასაჯერებელია, რომ მანეთიან წამლის ალაგას ორი მანეთი გამოართვას მეაფთიაქემ, ისიც ღლეხს. ღარიბსა და საწყალს კაცს! დასამტკიცებელი, უტყუარი საბუთები მოგვაწოდეთ, და მხოლოდ მაშინ იქნება თქვენი წერილი დაბეჭდილი.

თელავი

სარჩო-საბადებელი და ქალაქის გამგეობა.

დადგა შემოდგომა, რომელიც ხალხს „ღონიერის“ სახელით მოუნათლავს. მართალია, სახელი შეფერებით არის გამორჩეული, მაგრამ ამ წლიწადს კახეთისათვის შემადგომა-კი ღონიერი არ არის. ადრე გაზაფხულის უდიერმა სიცივემ უკეთესად საგრძნობი ზიანი მოუტანა: მცენარე დააზარალა, ზოგი მით, რომ ზრდა შეაყენა, ზოგისა ახალი წაწვერილება მოსუსხა, ზოგს ყვავილი გაულაყა და ზოგისა კვირტი გაალაყა; ცხოველებიც ვერ დაუმალდნენ გაზაფხულს, რადგანაც ჩვეულობრივზედ მეტად დაამწყვდია იგინი ბოსელში, ბალახი დააზარალა მოშუშა და ამიტომ დროზედ დროს საქმები მოუსპო და არც მოშუშული ბალახი იყო შემრგო. რაც ადრე გაზაფხულის სიცივემ დააკლო მცენარეულებას, ის გვიან გაზაფხულმა დაამთავრა სეტყვით და უდროო წვიმით. ზაფხულმაც ამინდმა ხელი ერთიანად არ შეუწყო ყველა მცენარეს: სიმინდი, ფეტვი და ბაღჩეულობა (კიტრი, ნესვი, ცარფუზი) ზაფხულის ამინდით ხელშეწყობილი იყო, ხოლო პური და ქერი, რაც უფრო ბევრი ითესება კახეთში, უამინდობით დაიჩაგრა, მეტად ნაკლები მოსავალი მისცა. მართალია, სიმინდის და ფეტვის საკმაო მოსავალმა დროებით პურის ფასი დასწია კოდი 1 მ. 30 კ. და 2 მ. გახდა, მაგრამ თავი ვერ დაიჭირა ამ მაზანდამ დიდხანს. მიზეზი ამისი რუსეთის პურის მოუტანლობაა. როგორც არა ერთხელ მიცნობებია მკითხველისათვის, ეს რამდენიმე წელიწადია რომ კახეთი რუსეთიდგან, ქიზიყიდგან და გარეთ კახეთიდგან, შემოტანილი პურით იკვებება, რადგანაც თავისი არა ჰყოფნის. ქიზიყი ნაკლები მოსავლის გამო, პურს ვეღარ აწვდის ზემო კახეთს; რუსეთის სამხრეთის გუბერნიებში, საიდამაც კახეთის პური მოსდიოდა, ნაკლები მოსავალია. ეს ყველა ერთად აღებული-კი ზემო კახეთის პურის მაზანდაზე დიდ გავლენას იქონიებს შემდეგში. ჯერ მარნიდან პურისა შეთამაშდა: ენკენისთვის დამდეგს ფუთი ფქვილი 1 მ. 5 კ. დაბლა აღარ გაიყიდება, დაბალი ფქვილისა და კარგი 1 მ. 20 კ. ნაკლებ. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ თელავის ყანთარზედ აგერ ერთი თვეა განტი-კუნტად თვითო-ოროლა ტომარა ფქვილი შემოდის. აქნობამდის ტომარ-მეშოკეების გორები იდგა და ახლა შემოდგომაზედ, როცა ამ ტომარ-მეშოკეების გორებს უნდა ემატნათ, ასე საჩინოდ იკლეს და სულაც გაჰქრნენ. სამწუხარო ის არის, რომ ამას ჯეროვანი ყურის მგდებელი არა ჰყავს. არავინ რად შეიტკივებს თავსა. მართალია, ეს გარემოება იცის ქალაქის მმართველობის თანაშემწემ, მაგრამ მარტო გარემოების ცოდნა რომ აღმობდეს კუჭსა, ხომ აღარც სადარდებელი იქნებოდა. საქმე სხვა-და-სხვა ღონისძიების მიღებას თხოულობს და ამისათვის-კი გული გულის ადგილას არავისა აქვს. აქ ამბობენ: „პური ჩემი არსობისა მომეც მე დღეს“-ო და არა: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“-ო. ამ სახით ღვთისადმი მიმმართველნი, მოგეხსენებათ, რა გულითაც იქმნებიან მოძმეთა გაჭირების თანამოზიარენი.

ქერი კალოობაშივე დაჰგირდა, ფუთი 50 და 55 კაპ. იყიდებოდა და რაკი სოფლიდამ მოგროვდა, გაჭართა ხელში ორ კვირაზედ 70 კაპ. გახდა ფუთი. სიმინდი ჯერ დაბალ ფასშია, ფუთი 40 კაპ. მაგრამ მალე აიწევს, რაკი ხარჩების ბედლებში მოემწყვდევა.

საზოგადოდ საზრდო საზრუნავი აქვს თელავის მაზრის და განსაკუთრებით ქალაქ თელავსა. თუ ვინმე გულშემატკივარი ჰყავს ამ მხარეს და თუ ვისმე კალად აქვს გულშემატკივრობა, უნდა მიმრავლებაში მოვიდეს ფეხზეთ-კი არა, გონებით თუ გაანაოს იგი. ჩვენ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევით, იმედი გვაქვს და თითქმის გვჯერა კიდეც, რომ რაიმე ღონისძიებას იხმარებენ, ვისაც ჯერ არს, თელავის საზრდოობისათვის მაინც. მე არც ის მჯერა, ვითომც თელავის მაზრის საქმე ეხლა უკრესობდეს, ვიდრე ადმინისტრაციის ხელში; ვითომც ამაზედ სამაზრო გამგეობას მიწერილობაც გაეგზავნოს თელავის თვითმმართველობისათვის; ვითომ ამ მიწერილობაში უთითებდნენ თვით მართველობას იმაზედ, რომ ხარჩები დიდითვე ყიდულობენ, რაც-კი შემოდის სოფლებიდამ და ან სხვა მხრიდამ და იქავე ერთ ნახევარ ფასად მცხოვრებლებზედ ჰყიდდნენ ეს დაუჯერებელი ამბავია. მართალია, კარტოფილის პოვოსკები ბევრი უდგათ შეადლემდის; მართალია სოფლელებს ლანძღვა-გინება მოემატათ ბაზრელებისაგან, თუ ვინიცობაა არ მისცა ნათქვამ ფასად; მართალია, მეურმეებს ბევრი ქისტი მოხვდათ, ვინდა თუ არა ახლავ მომეცი ახლად შემოღებული გადასახადი ორი შაური, დაცლა არას გზით არ შეიძლიან, მანამ ხალხი გამოვა უნდა მოეკრიბოთ და შენ თუნდა ხარ-კამეჩი გაყიდე, თუ ორი შაური არა გაქვსო ჩემი საქმე არ არის; მართალია ყასბებს ყველას სათითაო საკუჭნაო აქვთ კარგი ხორცისათვის,—მაგრამ ყველა ეს რომ ხდება „ნებითა და ნებელობითა“ უფლება „მქონებისაგან“, აქ რა არის საკვირველი? გაცემა რომ თავისი ნათესავი წინ წასწიოს, უღუკმო ლუკმიანი გაჰხადოს და გარჩე სწელი ლუკმიანაც, განა ეს დასამრახისია? გეთქვათ, მე მყავს ნათესავები უხეიროდ მოხეტიალენი, იმათ რომ ისეთი საქმე გაუჩინო, რომლიდამაც, რამდენიც უნდათ, გამორჩებიან, განა ეს ქვეყნის მოკეთობა არ იქმნება? განა ეს ქრისტეს მოძღვრების—„გიყვარდეს მოყვასი შენი“-ს აღსრულება არ არის? აბა, ჩვენი გვაროვნობის ხე გაშინჯეთ, თუ ისინი ჩემი მოყვასნი და ისიც მახლობელნი მოყვასნი არ არიან. (წლევანდელ ღვინის მოსავალზედ შემდეგ წერილში იქნება).

ნადიკვრელი.

სამეურნეო ცნობა

** **სოფ. ტეზერი.** (ქართლი.) გუთნების გამოცდა. როგორც ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, 4 ოქტომბერს ბ-ნის პეტრე ყიფიანის მამულში მოხდა გაუმჯობესებულის გუთნების გამოცდა. ამ გამოცდამ, სამწუხაროდ, ინიციატორის იმედები ვერ გაიმართლა. მიზეზი ამისი აი რა იყო: 1. თუმცა სამეურნეო საზოგადოებამ ათის დღით წინად აცნობა ადგილობრივს ბოქაულს, რომ 4 ოქტომბრისათვის გუთნების გამოცდაა დანიშნული ეს გარემოება ადგილობრივ მცხოვრებლებს აცნობეო, მაგრამ ბოქაულს, ჩვენთვის გაუგებელის მიზეზების გამო, ეს თხოვნა უყურადღებოდ დაეტოვებინა და გუთნების გამოცდის წინ დღეს არავინ იცოდა, რომ ეს გამოცდა მოხდებოდა. ამ ნაირად, ერთი კაციც არ დაესწრებოდა ამ გამოცდას, რომ, შემთხვევით, გამოცდის წინა დღეს არ მოსულიყო ს. ტეზერში გორის მაზრის უფროსის ახლად დანიშნული თანაშემწე ბ. აზნაპეტოვი, რომელსაც ერთმა ადგილობრივმა მემამულემ გააცნო, რომ ხვალ გუთნების გამოცდაა დანიშნულიო. ამას შემდეგ თუმცა ბ. თანაშემწემ ადგილობრივ მამასახლისს უბრძანა, რომ გამოცდაზე დასასწრებად კომლზე კაცი გამოეწვია, მაგრამ ეს ბრძანება ისეთი დაგვიანებული იყო, რომ გამოცდაზე დაესწრო 80—100 კაცი. 2. გუთნები ქალაქიდგან ორმა ფირმამ გაგზავნა,—კრაუზემ და აუფერმანმა. ამ უკანასკნელს დაჰგვიანებოდა გუთნების გაგზავნა და გამოცდის დღეს გუთნები მოსული არ იყო. თორმეტ საათზე მეტი იქნებოდა, როცა აუფერმანის გუთნები მოიტანეს. 3, იმის გამო, რომ აუფერმანის გუთნებმა დაიგვიანეს, გამოცდა კრაუზეს გუთნებით დაიწყო. ვერც პირველმა და ვერც მეორე გუთანმა ვერ გამოიჩინა თავი, უსწორ მასწოროთ ხნავდნენ და კვალში ვერ ჩავარდნენ იმ დროს, როცა ჩვენებურს გუთანს, ექვსის უღლით შებმულს, ღრმა და განიერი კვალი გაჰქონდა. ამ გარემოებამ თუ რამდენი შთაბეჭდილება მოახდინა. შემდეგ ამისა შეიბა ანგლო-ბოლგარული გუთანი. ამ გუთანმა, ცოტა არ არის, თავი ისახელა. თუმცა ორის უღლით ხნავდა, მაგრამ კვალი განიერი და ღრმა გაჰქონდა, გუთნის დედიდგან დიდ შრომას არ ითხოვდა და, ამასთან, ორი უღელი თავისუფლად ატარებდა. გლეხ-კაცობამ მოიწონა ეს გუთანი, მაგრამ აქეთ-იქიდან მაინც ისმოდა, ჩვენ ქართულ გუთნებს ვერ შეედრებაო. ამავე დროს მოიტანეს აუფერმანის გამოგზავნილი გუთნები, ჩადკა თუ არა კვალში ოთხის უღლით შებმული ეკერტის გუთანი, მაშინათვე შეეტყო, რომ ეს გუთანი კარგი უნდა გამომდგარიყო; როცა, მესამე კვალის გავლის შემდეგ, გუთანი მუშაობაში ჩავარდა, იმის კვალი ჩვენის გუთნის კვალზე ღრმაც და განიერიც აღმოჩნდა; ამას გარდა, გუთანი ისე კარგად მუშაობს, რომ ხანდახან გუთნის დედის ხელის შემოვლებაც-კი არ უნდა: ეს გუთანი ყველას მოეწონა, სიძვირეს, 42, მანეთი რომ არ დაეშალა, ბევრი იყიდდა, სულ გასცლდა ერთად-ერთი გუთანი. ეკერტის გუთნის შემდეგ კიდევ გამოიცადა სხვა გუთნებიც, რომლებიც ხალხს კარგად მოეწონათ.

გუთნების შემდეგ გამოიცადა ფარცხი, რომელიც ხალხს მეტად მოეწონა, რადგან მიწას კარგად სწმენდავს ბალახისგან და, ამას გარდა, მიწას ანტვრევს. ამის მიუხედავად არც-ერთი ფარცხი არ გაყიდულა იმის გამო, რომ ფასი 36 მანეთი მეტად ბევრი ეჩვენა ხალხს.

ასე გაიარა გუთნების გამოცდის საქმე ს. ტეზერში. ძალიან საეჭვოა, რომ ამ ნაირ გამოცდის შემდეგ ხალხში გავრცელდეს გაუმჯობესებული გუთანი. მაგრამ ერთი რამ გვაიმედებს: ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ერთი გუთანი გამოცდისავე დღეს გაიყიდა და, როგორც შევიტყვეთ, გუთნის მყიდველმა მცხოვრებლებს გადასცა გუთანი ერთის წლის ვადით სახმარებლად იმ აზრით, რომ მუშა ხალხმა ხმარებაში გაიგოს გუთნის ავი და კარგი და თუ კარგი გამოდგა, მერე თვით მუშა ხალხი იყიდის.

განცხადებანი

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მოჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროსს ბუღალტერს ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,;

3) **Арифметики на счетахъ,**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОН БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**

ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успешныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ Фонъ Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—74



სასტუმრო და ბუფეტი

იუჟნი ნომრები

ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის გვერდზე, ბარონის ქუჩაზე, თამამშევის სახლებში, № 14.

სასტუმროს აქვს 35 სუფთად მოწყობილი ნომერი დღიურად 50 კაპ., ვიდრე 3 მანათამდე, თვიურად ნაკლებ.

სასტუმრო არის ნაქები,
მორთული, როგორც ქალია,
მოყვასს მისს ხილვა უხარის,
მტერს-კი უდგება თვალია!

მობრძანდით ერთხელ, გაიგეთ,
ჩვენი რიგი და წესია:
სადილ-ვახშამი იაფი,
ნომრები უმეტესია!

მუდამ-ჟამს თევზი ცოცხალი
საჭმელ-სასმელი ტკბილია,
ამას არ სტყუის, თქვენმა მზემ,
აბრამიშვილი ილია!

(24—15)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1897 г.

სტამბა ამ. ი. ხელაძისა, ღოროს-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია